ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3196137

ნომერი: AR1492664

თარიღი : 04.04.2017

გაცემის თარიღი : 11.04.2017

გაცნობის თარიღი : 12.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 11 , (ნაკვ. 03/100) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ეზიეშვილი პ/ნ 35001007755
- რუსთავი გ.ლეონიძის ქ. კორ. 28 ბ. 31

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ისეკო" კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

2015 წლის 04 აგვისტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობა არის ორსართულიანი, ხოლო 2016 წლის 04 თებერვლის საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა არის ერთსართულიანი, გარდა ამისა აღნიშნულ შეუსაბამობასთან ასევე შეუსაბამობაში მოდის არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, რომლებზეც დაფიქსირებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა დღეის მდგომარეობით არის კვლავ ორსართულიანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მოხდა პირვანდელი ორსართულიანი შენობის მეორე სართულის დემონტაჟი, რის შემდეგაც შენობა საკადასტრო გეგმაზე დაფიქსირდა ერთსართულიანად და აღნიშნულის შემდეგ კვლავ მოხდა შენობაზე მეორე სართულის დაშენება. შესაბამისად გაურკვეველია მეორე სართულის კანონიერების საკითხი. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ განხორციელებული დაშენების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური უნებართვოდ განხორციელებული სამუშაოების შემდგომ განვითარებაზე ნებართვას ვერ გასცემს. ასეთ შემთხვევაში "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ ასევე გაითვალისწინეთ:
1."არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - წარმოდგენილ იქნას დღევანდელი სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები გადაღებული ახლო და შორო მანძილიდან და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები , დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.
2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - გაითვალისწინეთ: წარმოადგინეთ გვერდითა ხედიდან გადაღებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი და გაითვალისწინეთ, რომ არ უნდა მოხდეს კიბესთან არსებული ნაგებობის დემონტაჟი ან/და დაზიანება, შესაბამისად აღნიშნული ასახულ იქნას ფოტომონტაჟზე.
3. ვინაიდან საკადასტრო რუკაზე სარეკონსტრუქციო შენობა ნაგებობის კონტურები გადის საკადასტრო საზღვრებზე გაურკვეველია ანაზომ ნახაზებზე რატომ არის დარჩენილი მანძილი („3-1" და „დ-1" ღერძები) შენობის კონტურსა და საკადასტრო საზღვარს შორის, აქედან გამომდინარე ანაზომი ნახაზები მოვიდეს საკადასტრო რუკაზე დატანილ შენობა/ნაგებობის კონფიგურაციასთან ურთიერთშესაბამისობაში. ასევე წარმოდგენილი ანაზომი ნახაზები არ შეესაბამება არსებული სიტუაციის ფოტოსურათებზე დაფიქსირებულ მდგომარეობას, საჭიროა აღნიშნულზე ასევე დაიტანოთ კიბესთან არსებული ნაგებობა.
4. პირველი სართულის არსებული და საპროექტო გეგმების გაბარიტული ზომები მოვიდეს ურთიერთ შესაბამისობაში, იმ შემთხვევაში თუ არ ხდება ფართის მატება. ამასთანავე დამატებით დაიტანეთ საპროექტო ღიობებიდან საკადასტრო საზღვრებამდე მიბმის მანძილები.
5. მოთხოვნის ტექსტში დამატებით განმარტეთ ინფორმაცია არსებული შენობა/ნაგებობის ფუნქციასთან დაკავშირებით რეკონსტრუქციამდე და მის შემდგომ, ასევე დაფიქსირდეს ინფორმაცია ხდება თუ არა ფართის მატება.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.